## 6. რა იქნება მომავალში?

პროცესი, რომლის შედეგადაც ეს მემორანდუმი შედგა ძალზე საინტერესო, გამოწვევებით აღსავსე და შთამაგონებელი იყო. ის ცოდნა, პერსპექტივები, ხედვები და სტრატეგიები, რაც ამ პროცესში წარმოიქმნა, მხოლოდ დასაწყისია და არა დასასრული გლობალური დიალოგისა რესურსების სამართლიანობაზე. იმედია, შემოთავაზებული ახალი თვალსაზრისი და ნორმატიული ბაზა სხვებსაც შთააგონებს დაინტერესდეს ამ მემორანდუმით, განავითაროს იგი და გადაიტანოს მისი ქვეყნისა თუ რეგიონის კონტექსტში. იგი  აგრეთვე შთააგონებს მათ, ვინც ეძებს პრობლემების გადაჭრის გზებს საერთაშორისო დონეზე.

წაიკითხავთ ახალ ამბებს ხვალ?  იმის მიხედვით, თუ მსოფლიოს რომელ ქვეყანაში იმყოფებით, შეიძლება გაიგოთ ამბები ევროპაში საკვების კოოპერატივის შესახებ, ბრიუსელში სათემო მიწების ტრასტის, ჩრდილო ამერიკაში ბიტუმოვანი ქვიშის მილსადენის შეჩერების, ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში წყლის საკითხებთან დაკავშირებით ტრანსსასაზღვრო კოლაბორაციის, ტორონტოში ხალხით გადატვირთული მწვანე კორიდორის, ცენტრალურ ამერიკაში წიაღისეული საბადოს აკრძალული ზონის ან აღმოსავლეთ ევროპაში უსაფრთხო ენერგომომარაგებაზე გადასვლის შესახებ. არა აქვს მნიშვნელობა სად ცხოვრობთ ან მუშაობთ – ახალი ამბები უკეთესი მომავალის შესახებ უკვე ჩვენს ირგვლივ ტრიალებს. იმედია ეს სიახლეები უფრო ხელშესახები გახდება მთელს მსოფლიოში და ნაბიჯ–ნაბიჯ მიგვაახლოვებს ჩვენს წარმოსახვებში არსებულ მომავალთან.